



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ოქმი:ო37.37210571

თარიღი:26/02/2021

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გ. ღურჯუმელიძის
ანგარიშის მოსმენის სხდომის
ოქმი**

ქ. ოზურგეთი 2021 წ. 25.02.

12.30-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: წევრის ამომრჩევლები, კოლეგები, საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა, რომ დაიწყო საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, რომელიც მიმდინარეობს ონლაინ რეჟიმში, პირდაპირი ტრანსლაციით, განაცხადა, რომ გ. ღურჯუმელიძე არის პროფესიონალი და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე საკრებულოს წევრი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, იგი აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების, სამუშაო ჯგუფების მუშაობაში, საკრებულოს მიერ მისაღები ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების პროექტების ინიცირებასა და მომზადებაში, მოქალაქეთა მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტაში, მუნიციპალიტეტის წინაშე მდგომი პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიებისას ნაყოფიერად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

საკრებულოს წევრმა გ. ღურჯუმელიძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად ვრცლად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციასა და კომისიებში, სამუშაო ჯგუფებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, განსაკუთრებით ხაზი გაუსვა

ანასეულის წყალმომარაგების, პარკირების, ტრანსპორტის და სხვა აქტუალური საკითხის გადაწყვეტას, მომხსენებელმა უპასუხა დასმულ შეკითხვებს. აღნიშნა, რომ მომავალში მისი საქმიანობის ძირითადი გამოწვევა იქნება მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური განვითარებისათვის ზრუნვა.

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ - ლ. ბიგვაგამ ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს, აღნიშნეს, რომ იგი იყო ყოვლისმომცველი, შეეხებოდა კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა სფეროს, ხაზი გაუსვეს, რომ გ. ღურჯუმელიძე მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთთანამშრომლობით აგვარებს მნიშვნელოვან საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობდა რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის დ. დარჩიას წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

